

## დანართი 16-1

### საარბიტრაჟო ტრიბუნალის საპროცედურო წესები

#### პირველი წერილობითი წარდგინება

1. საჩივრის წარმდგენმა მხარემ უნდა მიაწოდოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს პირველი წერილობითი წარდგინება საარბიტრაჟო ტრიბუნალის შექმნიდან არაუგვიანეს 20 დღისა. მოპასუხე მხარემ უნდა მიაწოდოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მომჩივან მხარეს პირველი წერილობითი წარდგინება, საჩივრის წარმდგენი მხარის პირველი წერილობითი მოთხოვნის ჩაბარების თარიღიდან არაუგვიანეს 30 დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი სხვაგვარად გადაწყვეტს.
2. დავის მხარემ უნდა წარუდგინოს თავისი პირველი წერილობითი წარდგინების ასლი თითოეულ არბიტრს და მეორე მხარეს. ასლი წარდგენილ უნდა იქნეს მიღების დამადასტურებელი ცნობის გაცემით, ან გაიგზავნოს, ფოსტის, კურიერის ან ფაქსიმილეს მეშვეობით დოკუმენტის ასლი ასევე წარდგენილ უნდა იქნეს ელექტრონულ ფორმატში.

#### საქმის განხილვები

3. საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარემ უნდა დათქვას საქმის განხილვის თარიღი და დრო დავის მხარეებთან და საარბიტრაჟო ტრიბუნალის სხვა წევრებთან კონსულტაციით. საქმის განხილვის ადგილმდებარეობა უნდა გადაწყდეს დავის მხარეებს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. თუ დავის მხარეებს შორის ვერ შედგა შეთანხმება, საქმის განხილვის ადგილმდებარეობა უნდა განისაზღვროს დავის მხარეების სივრცეში მონაცვლეობის პრინციპის დაცვით ხოლო საქმის პირველი განხილვა უნდა შედგეს მოპასუხე მხარის სივრცეში. საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე წერილობით შეატყობინებს დავის მხარეებს საქმის განხილვის თარიღს, დროსა და ადგილმდებარეობას.
4. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ერთ-ერთი მხარე არ არის თანახმა, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა შესაძლოა დანიშნოს დამატებითი მოსმენები ან საერთოდ არ დანიშნოს სხდომა.
5. ყველა არბიტრი წარმოდგენილი უნდა იყოს პროცესზე.
6. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ საქმის განხილვა უნდა ჩატარდეს დახურულ სხდომაზე.

## დამატებითი წერილობით წარდგინებები

7. საქმის განხილვიდან 20 დღის განმავლობაში, თითოეული მხარე უფლებამოსილია გააკეთოს დამატებითი წერილობითი წარდგინება, რომელიც პასუხობს ნებისმიერ საკითხს, რაც წამოიჭრა საქმის განხილვისას. დავის მხარეები საარბიტრაჟო პროცედურის აღნიშნულ ეტაპზე არ არიან უფლებამოსილი წარადგინონ ახალი საჩივრები ან მტკიცებულებები თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ არ მოხდება შესაბამისი მოთხოვნის წარდგენა უფლებამოსილებით აღჭურვა. დამატებითი წერილობითი წარდგინებები უნდა განხორციელდეს წინამდებარე წესების მე-2 პუნქტის თანახმად. დავის მხარეებმა დამატებითი წერილობითი წარდგინებები უნდა განახორციელონ ერთდროულად.

## კითხვები წერილობითი ფორმით

8. საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია, სამართალწარმოების ნებისმიერ დროს, წერილობითი ფორმით დაუსვას დავის მხარეებს შეკითხვები.

9. მხარემ, რომელსაც საარბიტრაჟო ტრიბუნალი მიმართავს, უნდა მიაწოდოს წერილობითი პასუხი საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მეორე მხარეს საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ განსაზღვრულ ვადაში. თითოეულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს წერილობითი კომენტარები მეორე მხარის პასუხთან დაკავშირებით პასუხის წარდგენის თარიღიდან 5 დღის ვადაში.

## კონფიდენციალურობა

10. საარბიტრაჟო ტრიბუნალის სამართალწარმოება, წერილობითი წარდგენილობები, დოკუმენტები, საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის წარდგენილი მოძიებული ინფორმაცია ან ტექნიკური რჩევა, ასევე საარბიტრაჟო ტრიბუნალის სხდომები და ხსენებული სხდომების მიმდინარეობისას დასმულ შეკითხვებზე მიწოდებული პასუხები უნდა იყოს კონფიდენციალური. წინამდებარე თავი არანაირად არ უშლის ხელს დავის მხარეს, გაუმჟღავნოს საკუთარი პოზიციები საზოგადოებას, იმის გათვალისწინებით, რომ არ მოხდება დავის მეორე მხარის ამ დანართის მე-14 წესით დადგენილი სხვა ნებისმიერი პირის ან ორგანოს მიერ კონფიდენციალურად განსაზღვრული ინფორმაციის გამჟღავნება. დავის მეორე მხარის მიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალისთვის წარდგენილი ინფორმაცია, რომელიც აღნიშნულმა მხარემ განსაზღვრა კონფიდენციალურად, საარბიტრაჟო ტრიბუნალმა და დავის მეორე მხარემ უნდა განიხილოს, როგორც კონფიდენციალური. დავის მხარემ, მეორე მხარის მოთხოვნის საფუძველზე, უნდა უზრუნველყოს თავის წერილობით წარდგინებაში არსებული ინფორმაციის არაკონფიდენციალური მოკლე აღწერის დავის მეორე მხარისთვის გადაცემა, რაც შესაძლებელია საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს.

### ***Ex parte* კონტაქტი**

11. საარბიტრაჟო ტრიბუნალი არ უნდა შეიკრიბოს ან დაეკონტაქტოს დავის ერთ მხარეს, დავის მეორე მხარის გარეშე.
12. არცერთ მხარეს არ შეუძლია საქმესთან დაკავშირებით დაეკონტაქტოს რომელიმე არბიტრს, მეორე მხარის და რომელიმე სხვა არბიტრის გარეშე.
13. არცერთ არბიტრს არ შეუძლია განიხილოს სამართალწარმოებასთან დაკავშირებული დავის საგნის რაიმე ასპექტი დავის მხარესთან, მეორე მხარის და რომელიმე სხვა არბიტრის გარეშე.

### **ექსპერტების როლი**

14. დავის მხარის მოთხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით, საარბიტრაჟო ტრიბუნალი უფლებამოსილია მოძიოს ინფორმაცია და ტექნიკური რჩევა ნებისმიერი პირის ან ორგანოსგან, რომელსაც იგი მიიჩნევს საჭიროდ. ნებისმიერ ინფორმაცია, ამგვარად მოპოვებული, უნდა წარედგინოს დავის მხარეებს კომენტარებისთვის. იმ შემთხვევაში თუ საარბიტრაჟო ტრიბუნალი გაითვალისწინებს მოძიებულ ინფორმაციასა და ტექნიკურ რჩევას თავისი ანგარიშის მომზადებისას, მან ასევე უნდა გაითვალისწინოს დავის მხარეების მიერ საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მოძიებულ ინფორმაციასა და ტექნიკურ რჩევასთან დაკავშირებით მოწოდებული შენიშვნები.

### **სამუშაო ენა**

15. დავების მოგვარების პროცესის სამუშაო ენად წინამდებარე თავით განსაზღვრულია ინგლისური ენა. წერილობითი წარდგინებები, დოკუმენტები, ზეპირი არგუმენტები ან პრეზენტაციები, საარბიტრაჟო ტრიბუნალის ანგარიშები და ყველანაირი წერილობითი ან ზეპირი კომუნიკაცია დავის მხარეებს შორის და საარბიტრაჟო ტრიბუნალთან ასევე უნდა განხორციელდეს ინგლისურ ენაზე.